ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №33

ქ. თბილისი **2010 წლის 29 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. კარტოზია გიორგი 5. მესხორაძე გიორგი 6. ჩაბაკური გიორგი 7. გალდავა გიორგი 8. მარგველაშვილი ვლადიმერი 9. ფაღავა ზურაბი 10. ცინცაძე ნინო 11. თურქიაშვილი შორენა 12. მაცაბერიძე მალხაზი 13 შამილიშვილი მანანა 14. წერეთელი მარი 15. ჩოხელი ლევანი 16. ბარამიძე ცირა 17. ბახტაძე მიხეილი 18. ბრაჭული ირაკლი 19. გელოვანი ნანი 20. ლიჩელი ვახტანგი 21. ლორია კახაბერი 22. პაიჭაძე თამარი 23. ახლოური ბექა 24. ზივზივაძე ვახტანგი 25. ჯღამაძე უჩა. 26. გეგეჭკორი არნოლდი 27. ელიაშვილი მერაბი 28. თუთბერიძე ბეჟანი 29. ომანაძე როლანდი 30. ხაჩიძე მანანა 31. კერესელიძე დავითი 32. გუბაძე ვასილი 33. ჭლიკაძე გივი 34. კახიანი გიორგი 35. კვერენჩხილაძე გიორგი 36. ბენდელიანი ბექა 37. ჭალიძე ივერი 38. გაიპარაშვილი ზურაბი *(უფლებამოსილების ცნობის შემდეგ)* (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ალექსანდრე კვიტაშვილი (რექტორი) 2. რამაზ ქურდაძე 3. ზურაბ დავითაშვილი 4. მარიამ გერსამია 5. ალექსანდრე შენგელაია 6. ელიზბარ ნადარაია 7. მაია კოპალეიშვილი 8. ნუგზარ სურგულაძე 9. რევაზ გველესიანი 10. ქეთევან მარშავა (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ ზურაბ გაიპარაშვილისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობა.

2. ზოგიერთი კატეგორიის პერსონალთან შრომითი ურთიერთობის დარეგულირების შესახებ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება № 147/2010 –ის დამტკიცება.

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

4. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს წარუდგინა ზურაბ გაიპარაშვილი, რომელიც აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით (2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №146/2010) არჩეულ იქნა თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად. სპიკერმა განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების თანახმად, ბიბლიოთეკის არჩეული ხელმძღვანელი იმავდროულად ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, რისთვისაც საჭიროა წარმომადგენლობითმა საბჭომ ცნოს მისი უფლებამოსილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 37

მოწინააღმდეგე: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: წარმომადგენლობითმა საბჭომ ცნო ზურაბ გაიპარაშვილის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

2. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „ზოგიერთი კატეგორიის პერსონალთან შრომითი ურთიერთობის დარეგულირების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №147/2010 და აღნიშნა, რომ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები წარმოადგენენ დასაქმების პირობების დამდგენ უფლებამოსილ ორგანოებს. განიმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება განპირობებულია აკადემიური ვალდებულებისა და მთავრობის შესაბამისი დადგენილებების შესრულების მოტივით.

აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ელგუჯა მექვაბიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ემატება დაახლოებით 1600 სტუდენტი, რომელიც საკმაოდ სერიოზული დატვირთვაა. ამიტომაც მნიშვნელოვანია, დადგინდეს თუ რა ვადებში უნდა მოხდეს დამატებით საჭირო აკადემიური პერსონალის შესარჩევად კონკურსის ჩატარება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დავით ჩომახიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტმა უნდა მოახდინოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებების იმპლემენტაცია, ასევე ამ დადგენილებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს, ეს უკანასკნელი უნდა ჩატარდეს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 38

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ზოგიერთი კატეგორიის პერსონალთან შრომითი ურთიერთობის დარეგულირების შესახებ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №147/2010. (დანართი 3)

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დავით ჩომახიძემ წარმოადგინა თსუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის პროექტი. აღინიშნა, რომ თითოეული ფაკულტეტი ჩართული იყო პროექტის შემუშავებაში და აქტიურად თანამშრომლობდა საფინანსო დეპარტამენტთან.

საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ირაკლი საღარეიშვილმა დაწვრილებით მიმოიხილა ბიუჯეტის პროექტი. ყურადღება გამახვილდა 2011 წლის პრიორიტეტებზე – აკადემიური, ადმინსიტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის სახელფასო დანამატების, ლაბორანტებისა და ინჟინრების ხელფასების ზრდაზე. ენების ცენტრის დამოუკიდებელ, საუნივერსიტეტო სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების გამო, ცენტრი დაფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და არა ჰუმანიტარული ფაკულტეტისათვის გამოყოფილი სახსრებიდან. თსუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრა 47 მლნ. 981 954 ათასი ლარით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა მსჯელობა: წარმომადენლობითი საბჭოს წევრმა, ცირა ბარამიძემ ადმინისტრაციას მიმართა კითხვით, როგორ მოხდებოდა სამეცნიერო კვლევებისათვის გათვალისწინებული თანხების განაწილება. რაზეც რექტორმა, ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი წესი დაფინანსების გაცემისა, რაც აშკარად მიუღებელია, ამიტომაც იგეგმება ერთიანი წესის განსაზღვრა, რომელსაც შეიმუშავებს აკადემიური საბჭო უახლოეს მომავალში. ამ

მიმართულებით შესაძლოა 2011 წლის მიმდინარეობისას ბიუჯეტში განხორციელდეს პოზიტიური ცვლილებები.

აკადემიური საბჭოს წევრმა, მაია კოპალეიშვილმა აღნიშნა, რომ გაცვლით პროგრამებსა და იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობისათვის იურიდიული ფაკულტეტისთვის გამოყოფილი 20 000 ლარი ძალზედ ცოტაა იურიდიული ფაკულტეტის პრესტიჟის, მისი სტუდენტების რაოდენობისა და ფაკულტეტიდან უნივერსიტეტის ბიუჯეტში შესული თანხების გათვალისწინებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ირაკლი საღარეიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში ასევე გარკვეული ფორმით გათვალისწინებულია დამატებითი დაფინანსება სტუდენტებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, რომელიც აგრეთვე შესაძლებელია ნაწილობრივ მოხმარდეს სტუდეტთა წახალისებას. ხოლო რაც შეეხება ფაკულტეტის ბიუჯეტს, მისი 87,7% სახელფასო ხარჯებს შეადგენს, ამიტომაც მხოლოდ 12,3%-ის ფარგლებში მოხდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის საჭირო სახსრების გადანაწილება,

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ვასილ გუბაძემ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას თანამშრომლობისათვის, ასევე დასძინა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა საფინასნო დეპარტამენტთან აქტიურად თანამშრომლობდა და მონაწილეობდა ბიუჯეტის შედგენაში. ყველა ფაკულტეტის საბჭომ მაქსიმალურად გაითვალისწინა სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტების ინტერესები ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებში.

ცირა ბარამიძე დაინტერესდა თუ რამდენად მიზანშეწონლად იხარჯება სტუდენტური აქტივობებისათვის გამოყოფილი თანხები. რასაც პასუხი გასცა თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით ჩომახიძემ, რომლის განმარტებით, სტუდენტურ თვითმმართველობას არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი, ასევე რაიმე საუნივერსიტეტო თანხის დამოუკიდებლად განკარგვის უფლება.

თსუ-ს რექტორმა, ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, რომ 2011 წელს აუცილებლად გადაიხედება ბიუჯეტი, განსაკუთრებით სამივლინებო ნაწილში, რომელთან დაკავშირებითაც პრობლემები არა სტუდენტთა სამივლინებო ხარჯებშია, არამედ აკადემიური პერსონალის მიერ მივლინებისთვის დახარჯული თანხების ოდენობაში. შესაძლო გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად კონკრეტულად იქნება გაწერილი თითოეული სამივლინებო ხარჯი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, მანანა ხაჩიძე დაინტერესდა, იქნება თუ არა ინფორმაციული უზრუნველყოფა უნივერსიტეტის პრიორიტეტი და როგორ გადაწყდება ინფორმატიკაში საუნივერსიტეტო ნაკრების დაფინანსების საკითხი.

ირაკლი საღარეიშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით, განმარტა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში ამ მიზნით გამოყოფილია 100 000 ლარი, ასევე შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს დამატებითი თანხების გამოყოფა.

ალექსანდრე კვიტაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ ამჟამად მიმდინარეობს უნივერსიტეტის საინფორმაციო ბაზის აღწერა და მოხდება უნივერსიტეტში საქმის ელექტრონულ წარმოებაზე გადასვლა, სერვერების შეძენა და დამატება.

წარმომდგენლობითი საბჭოს წევრმა, ზურაბ ფაღავამ ადმინისტრაციას შეახსენა, რომ სამედიცინო კლინიკებისა და კლინიკური ბაზების არარსებობა სერიოზული პრობლემაა უნივერსიტეტისათვის, ვინაიდან თერაპიული ბაზის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მედიცინის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის სრულფასოვანი განხორციელება საფრთხის ქვეშ დადგეს.

ალექსანდრე კვიტაშვილმა აღნიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მორფოლოგიის ინსტიტუტში სასწავლო კლინიკური ბაზების მოწყობაზე და იგეგმება კლინიკებთან მოლაპარაკებები იჯარასთან დაკავშირებით.

აკადემიური საბჭოს წევრი, ალექსანდრე შენგელაია დაინტერესდა, თუ რამდენად შესაძლოა, თავიდან ავიცილოთ მომავალი წლის დასაწყისში სამედიცინო დაზღვევის წყვეტა. ადმინსიტრაციის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შესაბამისი სამინისტროს თანხმობით, ახალი ტენდერის ჩატარებამდე გაგრძელდება არსებული ხელშეკრულების მოქმედება სადაზღვევო კომპანიასთან და, შესაბამისად, წყვეტას ადგილი არ ექნება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი არნოლდ გეგეჭკორი დაინტერესდა, გააჩნია თუ არა ამჟამად უნივერსიტეტს თავისი სტამბა და თუ არა, მაშინ სტამბის არსებობის შეთხვევაში, რამდენად დაზოგავდა დაწესებულება საგამომცემლო ხარჯებს.

დავით ჩომახიძის თქმით, მიმდინარეობს მუშაობა სტამბის აღდგენაზე და, ასევე, შესაძლო შეძენაზეც. სამწუხაროდ, ეს საკმაოდ ძვირი ჯდება, ამიტომაც საწყის ეტაპზე, რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც, იგეგმება საკუთარი სტამბის აღდგენა ან რომელიმე არსებული სტამბის იჯარით აღება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ელგუჯა მექვაბიშვილი დაინტერესდა, შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის 2012 წლიდან სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ როგორ მოხდება ამ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთათვის ხელფასების ანაზღაურება.

დავით ჩომახიძის განმარტებით, არ შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ სახელმწიფო დაფინანსება 2012 წელს შეწყდება. ეს მთავრობის გადასაწყვეტია და წინასწარ ამის განსაზღვრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ წარმოუდგენელია. თუმცა,

უმჯობესი იქნება. თუ უნივერსიტეტი ამგვარი შემთხვევისთვის წინასწარ მოემზადება, რათა მომავალში შესაძლო პრობლემები თავიდან აიცილოს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 38

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს თსუ-ს 2011 წლის ბიუჯეტი, წარმოდგენილი სახით. (დანართი 4)

4. სხვადასხვა

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ბეჟან თუთბერიძემ გამოხატა სურვილი, მოხდეს სტუდენტების შემდგომი დაინტერესება და ჩართვა სამეცნიერო კვლევებში.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ცირა ბარამიძემ საბჭოს მოახსენა კოლეგა პროფესორების თხოვნა აკადემიური პერსონალის ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, რამდენადაა შესასაძლებელი პრემიებისა და დანამატების სახით ამ ყველაფრის გათვალისწინება.

ირაკლი საღარეიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული თანხები აკადემიური პერსონალისთვის პრემიების სახით ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგანაც დანამატის სახით ისედაც ხდება მათ ხელფასზე დამატებითი თანხების გამოყოფა.

ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს

ხელმძღვანელი (უფროსი) დ. გეგენავა

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა (თსუ, 29 დეკემბერი, 2010წ.)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი
- ჯღამაძე უჩა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

3. გუბაძე ვასილი
4. ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- ზურაბ გაიპარაშვილი *(უფლებამოსილების ცნობის შემდეგ)*

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (29. 12. 10)
დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია:

- ალექსანდრე კვიტაშვილი (რექტორი)
- ნანი გაფრინდაშვილი
- რამაზ ქურდაძე
- ზურაბ დავითაშვილი
- მარიამ გერსამია
- ალექსანდრე შენგელაია
- ელიზბარ ნადარაია
- მაია კოპალეიშვილი
- ნუგზარ სურგულაძე
- რევაზ გველესიანი
- ქეთევან მარშავა
- ფრიდონ თოდუა
- ლავრენტი მანაგაძე

დანართი 3.

დადგენილება №147/2010
29 დეკემბერი 2010

ზოგიერთი კატეგორიის პერსონალთან შრომითი ურთიერთობის დარეგულირების შესახებ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთების გზით რეორგანიზაციისა და შპს ,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის“ ლიკვიდაციის წარმოების დაწყების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ნოემბრის №346 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ტექსტში შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) მიერთების გზით და დაიწყო შპს ,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის“ ლიკვიდაცია. უნივერსიტეტი ჩაითვალა ხსენებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-6 მუხლის პირველი და მე-8 მუხლის პირველი პუნქტების თანახმად, წარმოადგენს რა, უნივ ერსიტეტის მართვის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, ამავე კანონის მე-10 მუხლის მე -2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 21 -ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული უნ ივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის ,,ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე წარმოადგენს რა, უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ შემუშავებული წინადადებების შესაბამისად, პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამდგენ ორგანოს, მოქმედებს რა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ნოემბრის №346 დადგენილების მე-2 და მე -12 პუნქტების (რომელთა საფუძველზეც უნივერსიტეტი წარმოადგენს რეორგანიზებული და ლიკვიდირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებამონაცვლეს) და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული დამსაქმებლის უფლებამოსილებებით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ნოემბრის №346 დადგენილების მე-6 და მე-8 პუნქტების, ,,შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის" ლიკვიდაციისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ“ სსიპ - საწარმოთა მართვის სააგენტოს 2010 წლის 21 დეკემბრის №1-3/1118 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეუწყდეთ სტატუსი და შრომითი ურთიერთობა 2011 წლის 1 იანვრიდან, ყოფილი სსიპ - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეულ პედაგოგებს;

2. სასწავლო პროცესის უწყვეტად, მოქმედ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან შესაბამისობაში წარმართვისა და სტუდენტთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ყოფილი სსიპ - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს ,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის“ იმ აკადემიურ პერსონალთან, ვისაც მიმდინარე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გააჩნია არსებული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულება, გაგრძელდეს შრომითი ურთიერთობა, მათ მიერ ზემოხსენებული ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე;

3. დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებს, წარმოადგინონ წინადადებები, ფაკულტეტზე არსებული აკადემიური თანამდებებობების ვაკანსიების შევსების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინგენტის ზრდის პროპორციულად;

4. დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებს, წარმოადგინონ წინადადებები, 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, სასწავლო პროცესის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური თანამდებებობის ვაკანსიების შევსებისათვის ჩასატარებელი კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე, სახელშეკრულებო საწყისებზე, მოწვეული სპეციალისტების სახით მისაღები პედაგოგიური პერსონალის რაოდენობის და კანდიდატების განსაზღვრის თაობაზე, უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინგენტის ზრდის პროპორციულად;

5. შეუწყდეთ შრომითი ურთიერთობა 2011 წლის 1 იანვრიდან, ყოფილი სსიპ - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს;

6. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსაზღვროს იმ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა, რომელიც საჭიროა, ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს ,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის“ შენობებში მიმდინარე სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის უზრუნველყოფისა და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სათანადოდ ფუნქციონირების, აგრეთვე მატერიალური ფასეულობების, საფინანსო და მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის, სტუდენტთა პირადი საქმეების უნივერსიტეტზე გადმოცემის პროცედურების განხორციელებისათვის, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

7. ყოფილი სსიპ - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პედაგოგებს, აგრეთვე ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს რომლებსაც შეუწყდათ სტატუსი და შრომითი ურთიერთობა, მიეცეთ 1 (ერთი) თვის შრომის ანაზღაურება;

8. წინამდებარე დადგენილება გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

9. წინამდებარე დადგენილება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

დანართი 4.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011წლის ბიუჯეტის პროექტი

მოსალოდნელი შემოსავლები	ლარი
სასწავლო გრანტი	11 600 000
ეკონომიკური საქმიანობა	18 900 000
სახელმწიფო ბიუჯეტი (საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა)	3 091 450
სახელმწიფო ბიუჯეტი (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	4 134 100
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია	380 700
2010 წლის გარდამავალი ნაშთი	5 000 000
ჯამი	**43 106 250**

სულ მოსალოდნელი გრანტები	**4 875 704**
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	**2 096 035**
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	**1 558 069**
საერთაშორისო გრანტები	**500 000**
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები	**721 600**
სულ შემოსავალი	**47 981 954**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის ხარჯები

ნაერთი პროექტი

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	47 819 299
ხარჯები	46 615 696
შრომის ანაზღაურება	21 725 064
ხელფასები	21 725 064
ხელფასები ფულადი ფორმით	21 725 064
თანამდებობრივი სარგო	15 988 664
პრემია	850 000
დანამატი	4 886 400
მათ შორის: აკადემიური პერსონალი	4 436 400
საქონელი და მომსახურება	22 803 762
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	12 101 301
მივლინება	929 037
ოფისის ხარჯები	5 332 951
წარმომადგენლობითი ხარჯები	712 700
კვების ხარჯები	5 716
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	80 000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	243 800
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3 398 257
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	30 000
სხვა ხარჯები	2 056 870
სხვადასხვა ხარჯები	2 056 870
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	2 056 870
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 203 603
ძირითადი აქტივები	1 203 603
შენობა ნაგებობები	253 000
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	850 603
სხვა ძირითადი აქტივები	100 000
სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	100 000

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	**2 519 240**
ხარჯები	**2 519 240**
შრომის ანაზღაურება	**1 716 240**
ხელფასები	**1 716 240**
ხელფასები ფულადი ფორმით	**1 716 240**
თანამდებობრივი სარგო	**1 502 160**
დანამატი	**214 080**
მ.შ.აკადემიური პერსონალი	**214 080**
საქონელი და მომსახურება	**803 000**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**493 000**
მ.შ.აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება	**220 000**
მივლინება	**45 000**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**35 000**
მიღებები, წვეულებები, ოფიციალური სადილები	13 000
საექსკურსიო ღონისძიებათა ხარჯები	500
კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები (ბილეთები, მოსაწვევები)	500
სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯი	20 000
სუვენირების შეძენის ხარჯები	1 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**230 000**
რეკლამის ხარჯი	**25 000**
დოქტორანტების დაფინანსება	**20 000**
საუნივერსიტეტო დაფინანსება(ბაკალავრიატი/მაგისტრატურა)	**95 000**
სტუდენტთა(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის დაფინანსება	**20 000**
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი	**35 000**
სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები	**35 000**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასახელება	ლარი
2	3
მთლიანი ასიგნებები	**2 289 350**
ხარჯები	**2 289 350**
შრომის ანაზღაურება	**1 824 600**
ხელფასები	**1 824 600**
ხელფასები ფულადი ფორმით	**1 824 600**
თანამდებობრივი სარგო	**1 207 680**
მ.შ. აკადემიური პერსონალი	**885 600**
დანამატი	**616 920**
საქონელი და მომსახურება	**464 750**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**244 750**
მივლინება	**40 000**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**19 000**
მიღებები, წვეულებები, ოფიციალური სადილები	6 000
საექსკურსიო ღონისძიებათა ხარჯები	1 500
კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები (ბილეთები, მოსაწვევები)	500
სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯი	10 000
სუვენირების შეძენის ხარჯები	1 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**161 000**
სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	**5 000**
სასწავლო და საწარმოო პრაკტიკასთან დაკავშირებული ხარჯები	**21 000**
დოქტორანტების დაფინანსება	**10 000**
საუნივერსიტეტო დაფინანსება(ბაკალავრიატი/მაგისტრატურა)	**80 000**
სტუდენტთა(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) გაცვლით პროგრამებში , სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება	**15 000**
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი	**10 000**
სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები	**20 000**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	**1 529 610**
ხარჯები	**1 529 610**
შრომის ანაზღაურება	**1 114 440**
ხელფასები	**1 114 440**
ხელფასები ფულადი ფორმით	**1 114 440**
თანამდებობრივი სარგო	**949 080**
მ.შ. აკადემიური პერსონალი	**678 240**
დანამატი	**165 360**
საქონელი და მომსახურება	**415 170**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**215 170**
მივლინება	**20 000**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**20 000**
მიღებები, წვეულებები, ოფიციალური სადილები	5 000
საექსკურსიო ღონისძიებათა ხარჯები	1 000
სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯი	12 000
სუვენირების შეძენის ხარჯები	2 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**160 000**
სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	**15 000**
სამეცნიერო ხარჯები(საცდელი მაკეტები,ლაბორატორიული სტანდარტების, რეაქტივების,ქიმიკატების, ჭურჭლის,მედიკამენტების და სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენა, მცირეფასიანი სამეცნიერო ხასიათის საგნების შეძენა).	**10 000**
წარმოებული აქტივების-იჯარასა და ქირასთან დაკავშირებული ხარჯები.	**70 000**
დოქტორანტების დაფინანსება	**10 000**
საუნივერსიტეტო დაფინანსება(ბაკალავრიატი/მაგისტრატურა)	**15 000**
სტუდენტთა(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) გაცვლით პროგრამებში , სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება	**10 000**
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი	**10 000**
სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები	**20 000**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	**3 288 780**
ხარჯები	**3 288 780**
შრომის ანაზღაურება	**2 582 280**
ხელფასები	**2 582 280**
ხელფასები ფულადი ფორმით	2 582 280
თანამდებობრივი სარგო	1 192 680
მ.შ. აკადემიური პერსონალი	842 400
დანამატი	1 389 600
საქონელი და მომსახურება	**706 500**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**419 500**
მივლინება	**40 000**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**10 000**
მიღებები, წვეულებები, ოფიციალური სადილები	3 000
საექსკურსიო ღონისძიებათა ხარჯები	1 000
კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები (ბილეთები, მოსაწვევები)	500
სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯი	4 500
სუვენირების შეძენის ხარჯები	1 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**237 000**
რეკლამის ხარჯი	1 000
სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	1 000
სასწავლო და საწარმოო პრაკტიკასთან დაკავშირებული ხარჯები	30 000
დოქტორანტების დაფინანსება	30 000
საუნივერსიტეტო დაფინანსება(ბაკალავრიატი/მაგისტრატურა)	120 000
სტუდენტთა(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) გაცვლით პროგრამებში , სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება	25 000
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი	10 000
სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები	20 000

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარჯები

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	**4 240 440**
ხარჯები	**4 240 440**
შრომის ანაზღაურება	**3 123 600**
ხელფასები	**3 123 600**
ხელფასები ფულადი ფორმით	**3 123 600**
თანამდებობრივი სარგო	**2 189 160**
დანამატი	**934 440**
მ.შ.აკადემიური პერსონალი	**934 440**
საქონელი და მომსახურება	**1 116 840**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**861 840**
მ.შ.აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება	**613 000**
მივლინება	**35 000**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**15 000**
მიღებები, წვეულებები, ოფიციალური სადილები	5 000
საექსკურსიო ღონისძიებათა ხარჯები	1 000
კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები (ბილეთები, მოსაწვევები)	1 000
სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯი	7 500
სუვენირების შეძენის ხარჯები	500
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**205 000**
სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	**20 000**
სასწავლო და საწარმოო პრაკტიკასთან დაკავშირებული ხარჯები	**20 000**
სამეცნიერო ექსპედიციები	**10 000**
დოქტორანტების დაფინანსება	**10 000**
საუნივერსიტეტო დაფინანსება (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა)	**105 000**
სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება	**10 000**
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი	**20 000**
სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები	**10 000**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	**4076974**
ხარჯები	**4076975**
შრომის ანაზღაურება	**3384000**
ხელფასები	**3384000**
ხელფასები ფულადი ფორმით	**3384000**
თანამდებობრივი სარგო	**3384000**
მ.შ. აკადემიური პერსონალი	**2268000**
დანამატი	**1 116 000**
საქონელი და მომსახურება	**692 975**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**423 215**
მ.შ.აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება	**350 015**
მივლინება	**60 100**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**15 000**
მიღებები, წვეულებები, ოფიციალური სადილები	5 000
საექსკურსიო ღონისძიებათა ხარჯები	800
კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები (ბილეთები, მოსაწვევები)	800
სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯი	8 000
სუვენირების შეძენის ხარჯები	400
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**194 660**
სამეცნიერო ხარჯები(საცდელი მაკეტები,ლაბორატორიული სტანდარტების, რეაქტივების,ქიმიკატების, ჭურჭლის,მედიკამენტების და სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენა, მცირეფასიანი სამეცნიერო ხასიათის საგნების შეძენა).	**50 900**
სასწავლო და საწარმოო პრაკტიკასთან დაკავშირებული ხარჯები	**30 760**
სამეცნიერო ექსპედიციები	**13 000**
დოქტორანტების დაფინანსება	**10 000**
საუნივერსიტეტო დაფინანსება (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა)	**85 000**
სტუდენტთა(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) გაცვლით პროგრამებში , სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება	**5 000**